# იკითხე უსაფრთხო სათამაშოზე



საქართველოს
სახალხო დამცველი

www.ombudsman.ge
ცხელი ხაზი -1481

## რა არის უსაფრთხო სათამაშო?

სათამაშო უსაფრთხოა თუ მისი ფიზიკური მახასიათებლები და ქიმიური შემადგენლობა ითვალისწინებს  ბავშვის სპეციალურ საჭიროებებს და მორგებულია მის ასაკზე.

## რა ზიანი მოაქვს სათამაშოს?

უსაფრთხოების ნორმების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის მის საუკეთესო ინტერესებთან.

## რა ვითარებაა საქართველოში სათამაშოების უსაფრთხოების კუთხით?

საქართველოში არ არსებობს ბაზრის ზედამხედველობის ორგანო და სათამაშოების უსაფრთხოების საკითხი  სახელმწიფო კონტროლს მიღმა რჩება.

## რა უნდა ვიცოდეთ სათამაშოების შერჩევის დროს?

სათამაშოს შეძენისას დავაკვირდეთ ანოტაციას პროდუქციის შემცველი ნივთიერებების დასადგენად.

ყურადღება გავამახვილოთ სათამაშოს (ქიმიური, ბიოლოგიური, აკუსტიკური, მექანიკური) შემადგენლობაზე და გამოყენებული საღებავის შემცველობაზე.

გავითვალისწინოთ სათამაშოს ფიზიკური მახასიათებლები (მაგ. სუნი, მდგრადობა და ა.შ.) და მისი  შესაბამისობა ბავშვის ასაკთან.